სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თანაბარი და სრულყოფილი მონაწილეობისთვის



განხორციელების ვადა: 01.01.2022 - 30.06.2025

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 999 100

მთლიანი ბიუჯეტი: € 1 249 910

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
HEKS/EPER

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
www.facebook.com/HEKS.EPER.Georgia

პროექტის აღწერა:

პროექტი ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა გაძლიერებას, რათა გაიზარდოს სამოქალაქო საზოგადოების როლი ადამიანის უფლებებისა და ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობა ბიუჯეტირებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესებში აქტიური და შედეგზე ორიენტირებული ჩართულობის მიზნით. პროექტი ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების და მედია საშუალებების გაძლიერებას, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან დიალოგისა და ზეგავლენის განხორციელების მიზით, რათა უზრუნველყოფილი იყოს საწიროებებზე მორგებული და ინკლუზიური მმართველობის სტილი. აგრეთვე გაძლიერდება მცირე და საშუალო ბიზნესი, რათა გამოყენებული იყოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის (DCFTA) შეთანხმების შესაძლებლობები.

მოსალოდნელი შედეგები:

სამიზნე არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო ჯგუფები და აქტივისტები აფიქსირებენ უნარების გაუმჯობესებას, სამთავრობო პოლიტიკაზე ზეგავლენის განხორციელების მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს გენდერულად მგრძნობიერე პოლიტიკის შემუშავება და ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის ზრდა. ისინი ავლენენ გაძლიერებულ უნარებს, ხმამაღლა აფიქსირებენ ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებს და ჩართულები არიან პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.
მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში ფუნქციონირებადი მცირე და საშუალო ბიზნეს ორგანიზაციები იღებენ ინფორმაციას ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის (DCFTA) შესაძლებლობების შესახებ, ხოლო 50 ბიზნეს ორგანიზაციის მხრიდან ფიქსირდება ფინანსებზე და ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და ბიზნესის განვითარება.
გაზრდილია 70 ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელთა ინტერესი და უნარები ეთნიკური უმცირესობების საჭიროებების გათვალისწინებისა და გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით.
ადგილობრივი მთავრობის მინიმუმ 60 წარმომადგენელი მიზნობრივი მუნიციპალიტეტებიდან გაივლის ტრენინგებს მონაწილეობრივი ჩართულობის მექანიზმების შემუშავების, გენდერულად მგრძნობიარე მმართველობის, ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის განვითარების მიმართულებით.
ხელი შეეწყობა ადგილობრივი მედიის მხრიდან ბენეფიციარფების საჭიროებებზე მორგებული ადვოკატირების კამპანიების მართებულად გაშუქების მიმართულებით.